

	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	-----
2.	ხელშეკრულების დასახელება	ნარდობის (მომსახურების გაწევის შესახებ) ხელშეკრულება
3.	ხელშეკრულების მხარეები	
3.1.	შემკვეთი	შპს ----- ს/ნ -----
3.2.	უფლებამოსილი პირი	დირექტორი
3.3.	მინდობილობის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	-
3.4.	მისამართი	ქ.
3.5.	ტელეფონი, ელ.ფოსტა	-
3.6.	ბანკი, ბანკის კოდი	სს ----- ბანკი
3.7.	ანგარიშის ნომერი	-----
3.8.	მენარდე	შპს -----ს/ნ-----
3.9.	უფლებამოსილი პირი	დირექტორი -----
3.10.	მინდობილობის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	-
3.11.	მისამართი	ქ. ----- / რ. -----
3.12.	ტელეფონი, ელ.ფოსტა	-----
3.13.	ბანკი, ბანკის კოდი	-
3.14.	ანგარიშის ნომერი	-
4.	ხელშეკრულების საგანი	შემკვეთი უკვეთავს ხოლო მენარდე იღებს ვალდებულებას შეასრულოს შემდეგი სახის სამუშაო (დაამზადოს შემდეგი სახის ნივთი).
5.	შესასრულებელი შეკვეთის/ნივთის აღწერა:	-----
6.	შესასრულებელი შეკვეთის (ნივთის დამზადების) ღირებულება შეადგენს --- ლარს (საშემოვლო გადასახადის ჩათვლით/გარეშე, დღგ-ს ჩათვლით/გარეშე)	თანხა ციფრობრივად
7.	ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება	
8.	ხელშეკრულების მოქმედების ვადა: ხელშეკრულება ძალაშია და მოქმედებს (იგულისხმება ვადა, რომელ ვადაშიც უნდა შესრულდეს ვალდებულება)	ც----- დან ---- მდე
9.	თანხის გადახდის წესი და პირობები	
10.	მხარეთა დასახელება	წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, შემკვეთი და მენარდე ერთად მოიხსენებიან როგორც მხარეები.
11.	პირგასამტეხლო	მენარდე ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და ვადაში შეასრულოს სამუშაო/დაამზადოს ნივთი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის (მათ შორის ვადის, ნაკეთობის ხარისხის, და ა.შ.) დარღვევისათვის მენარდე ვალდებულია შემკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების ----% ნაკლის გამოსწორებამდე ან/და ვალდებულების შესრულებამდე. ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულება არ ანთავისუფლებს მენარდეს პირგასამტეხლოს გადახდისგან;
12.	ნარდობის (მომსახურების გაწევის შესახებ) ხელშეკრულება	მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება შედგება (შეიძლება შედგებოდეს) შემდეგი დოკუმენტებისაგან: ა) წინამდებარე ნარდობის (მომსახურების გაწევის შესახებ) ხელშეკრულება

		ბ) ნარდობის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები გ) ნებისმიერი დამატებითი დანართი დ) ხარჯთაღრიცხვა ე) ტექნიკური დავალება ვ) ესკიზი, ექსპლიკაცია ზ) ვიზუალიზაცია თ) პროექტი (საპროექტო ნიმუში) ი) მიღება - ჩაბარების აქტი
13	უპირატესობა	ნარდობის ხელშეკრულების ან/და დანართ(ებ)ის პირობებთან სტანდარტული პირობების წინააღმდეგობის არსებობისას უპირატესობა მიენიჭება ნარდობის ხელშეკრულების ძირითად პირობებს
14.	ხელშეკრულების ენა	ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე. თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

15. მხარეთა ხელმოწერები

შემკვეთი

მენარდე

№-----ხელშეკრულების სტანდარტული პირობები
1. ხელშეკრულების საგანი
1.1. შეკვეთას მენარდე შესაძლოა ასრულებდეს საკუთარი მასალით და საკუთარი აღჭურვილობით თუ მხარეთა შორის არსებობს ასეთი შეთანხმება. საკუთარი მასალით შესრულება გამომდინარეობს შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან. იმ შემთხვევაში თუ მენარდე სამუშაოს ასრულებს შემკვეთის მასალით, აღნიშნულის დასადატურებლად, წინამდებარე ხელშეკრულებას დაერთვის გამოსაყენებელი მასალის ხარჯთაღრიცხვა;
1.2. შეკვეთის შესრულება შესაძლოა უნდა დასტურდებოდეს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის/აქტების საფუძველზე.
1.3. თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. დამზადებულ ნაკეთობაზე, საკუთრების უფლების გადაცემა ნიშნავს, მენარდის მიერ შემკვეთისათვის, დასრულებული ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა, რომელიც თავისუფალია ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან.
1.4. იმ შემთხვევაში თუ, მენარდე ასრულებს რაიმე სახის სამუშაოს, რომელიც შესაძლებელია მატერიალური სახით არ იყოს წარმოდგენილი, კერძოდ შესასრულებელი სამუშაო წარმოდგენს რაიმე შეცვალს, განახლებას, გაუმჯობესებას, ან/და შემოწმებას. შესრულებული სამუშაო უნდა იყოს მხარეთა მიერ დათქმული სტანდარტების/ხარისხის. იმ შემთხვევაში თუ მხარეთა მიერ, ასეთი სტანდარტი არ არის დათქმული გამოიყენება მინიმალური სტანდარტის ცნება, რომელიც გამორიცხავს ისეთივე სამუშაოს შესრულების განმეორებით შესრულებას შემკვეთის ხარჯზე სხვა მენარდესთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
1.5. იმ შემთხვევაში თუ მენარდეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე და მან არ შეასრულა იმ ხარისხის სამუშაო, რომელზედაც შეთანხმდნენ მხარეები, იგი ვალდებულია გამოასწოროს შესრულებული სამუშაოს ნაკლი.
1.6. იმ შემთხვევაში თუ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია რთული და მოცულობითი ხასიათის სამუშაოს შესრულება, ასეთი სახის სამუშაოების შესრულებისას ნარდობის ხელშეკრულებას თან ერთვის სამუშაოთა წარმოების ტექნიკური და საპროექტო დოკუმენტაცია, ასევე ის დოკუმენტაცია, რომელიც მითითებულია წინამდებარე ძირითადი ხელშეკრულების მე-12 მუხლში. იმ შემთხვევაში თუ, არ ერთვის აღნიშნული დოკუმენტაცია, გამოიყენება წინამდებარე სტანდარტული პირობების მუხლი 1.4. და 1.5.
1.7. მენარდის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ხარჯი შემკვეთის მიერ არ ანაზღაურდება, თუ საპირისპიროს შესახებ მითითებული არ არის წერილობითი ფორმით მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.
1.8. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილია ხარჯთაღრიცხვა და თან ერთვის ხელშეკრულებას, ის საბოლოოა და მისი გადამეტების ან/და მენარდის მხრიდან შეცვლის შემთხვევაში ანაზღაურებას არ ექვემდებარება. წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს მყარ ხარჯთაღრიცხვას;
1.9. იმ შემთხვევაში, თუ შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკიდან და მოცულობიდან გამომდინარე მხარეები შეთანხმდნენ და არსებობს მხარეთა შორის ე.წ. მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა (რომლის შესახებაც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ წარმოდგენილია მყარი ხარჯთაღრიცხვა). მენარდეს შეუძლია მოითხოვოს, გადახარჯვის ანაზღაურება, თუ:
ნარდობის ხელშეკრულების სრული ვერსიის მისაღებად/საადვოკატო და იურიდიული კონსულტაციის მიღებისათვის დამიკავშირდით შემდეგ მისამართებზე: www.advokontu.ge facebook: Guram Kontuadze tel/viber/whatsapp: +995591976764 ელ. ფოსტა: guram.kontuadze@gmail.com
ადვოკატი გურამ კონტუაძე, სრული იურიდიული და საადვოკატო მომსახურება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. <i>პრეკლუზიებს ვეძნით ჩვენ</i>